კლუბის სახელწოდება – ფეხბურთის კლუბი

სამიზნე ჯგუფი: თანამედროვე განათლების აკადემიის I-VI კლასის მოსწავლეები

მასწავლებელი: თეიმურაზ მჟავანაძე, საბა ცინცქილაძე, ლევან ხელაშვილი

კლუბის გაკვეთილების რაოდენობა – კვირაში 2-ჯერ. თითოეული გაკვეთილის ხანგრძლივობა – 50 წთ.

კლუბში გაწევრიანების წინაპირობა – მოსწავლის დაინტერესება და ასაკის შესაბამისობა

მოსწავლეთა მინიმალური და მაქსიმალური რაოდენობა – მინიმალური-15, მაქსიმალური-25

**კლუბის მიზანი** – კლუბის მიზანია, მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის წახალისება. ფეხბურთის კლუბის ფარგლებში ისინი აიმაღლებენ ფიზიკურ მონაცემებს, განივითარებენ გუნდური და ინდივიდუალური მუშაობის უნარებს. კლუბი ხელს შეუწყობს მოსწავლეებს ურთიერთდახმარებით და პასუხისმგებლობის განაწილებით განიმტკიცონ შესაბამისი უნარ-ჩვევები. ფეხბურთის კლუბი დაეხმარება მათ მიღწევის მოთხოვნილების დაკმაყოფილებაში, წაგების ღირსეულად მიღებასა, ჯანსაღი ცხოვრების წესის, როგორც ფასეულობის, აღქმასა და ცხოვრებაში დანერგვაში.

ძირითადი მიდგომები, მეთოდები, აქტივობები : კლუბის ფარგლებში ისწავლიან ფეხბურთის ძირითად წესებსა და ილეთებს. დაეუფლებიან ბურთის ტარებას წყვილებში და ინდივიდუალურად, ბურთის კენწვლას, ბურთის ტარება ორივე

ფეხით, მგორავ ბურთზე დარტყმას, ბურთის ტარებას ბარიერებში, კარში დგომას, ბურთის ფლობას თავით, ბურთის კენწვლასა და სხვა.

გამოყენებული იქნება სწავლა კეთებით და დემონსტრირება.

ძირითადი რესურსები – ღია მოედანი, სპორტ დარბაზი, ფეხბურთის ბურთი, ბარიერები.

კლუბის მუშაობის შუალედური და საბოლოო შედეგები (მუშაობის პროდუქტის წარმოდგენის პერიოდი, ფორმა) – ექნებათ როგორც შიდა ასევე სხვადასხვა
სკოლებთან ამხანაგური შეჯიბრები.